პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 189 (6244)

1978 წ. 26 სექტემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

საკაძის პრიზი — თემქელ ფალავნებს

## მერცხლები სპორტდარბაზში

□

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

როცა მხატვრულ ტანმოვარჯი-[...]ეთა ასპარეზობის საზეიმო გახს-[...]ს ცერემონიალი დამთავრდა, რო-[...] მთავარმა მსაჯმა ვალენტინა [...]ოლოდცოვამ შეჯიბრება გახსნი-[...]ად გამოაცხადა და მაყურებელთა [...]აში მიელდა, ტიტოვის სახელო-[...]ს სკოლა-ინტერნატის სპორტდა-[...]ბაზში... მერცხლების საკმაოდ [...]ოზრდილი გუნდი გამოჩნდა.

რა იყო ეს, წინასწარ დაგეგმილ-[...]ოფიქრებული სიურპრიზი, თუ უბ-[...]ალო შემთხვევა? მასპინძლებმა [...]რები აიჩეჩეს, ვილაცამ ზევით, [...]ა ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი.

— გასაკვირი აქ არაფერია, კუდ-[...]ოჭა ფრინველებმა ჩვენი გოგო-[...]ების ხელოვნებით დატკბობა მო-[...]სურვეს და გვესტუმრნენ, — სე-[...]იოზული კილოთი თქვა ერთმა [...]ამოსწრებულმა მაყურებელმა.

რა თქმა უნდა ეს განცხადება [...]ველამ ხუმრობად ჩათვალა, მაგ-[...]ამ დადასტურდა ერთი ხალხური [...]ამოთქმის ჭეშმარიტება — მერც-[...]ალს მასპინძლისთვის სიხარული [...]ოაქვსო — სავალდებულო პროგ-[...]ამის შესრულების შემდეგ სწო-[...]ედ მასპინძელთა გუნდი დაწინა-[...]ურდა. მასთან თვით აღიარებულმა [...]ავორიტმა, რუსეთის ფედერაცი-[...] კოლექტივმაც ვერაფერი გააწ-[...]ო.

[...]ეს მოხდა შეჯიბრების პირველ [...]ღეს. საბოლოოდ რსფსრ-ს ნორჩ-[...] ტანმოვარჯიშეებმა მაინც იმა-[...]ჯვეს და 230,25 ქულით სპარტა-[...]ადის ჩემპიონის სახელი დაისა-[...]უთრეს. უზბეკეთის ნაკრებმა 227,8 ქულა მოაგროვა და II ად-[...]ილი დაიკავა. სპორტის ამ სახე-[...]ბაში (და არა მარტო ამ სახეო-[...]ბაში) მასპინძელთა პროგრესი [...]ვალსაჩინოა, მათ წინა XIV სპა-რტაკიადასთან შედარებით შვიდი საფეხურით გადაინაცვლეს მაღლა.

თუ ლვოვის სპარტაკიადაში მოპოვებულ შედეგს (XIII) გავითვალისწინებთ, არც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოსულან ცუდად, ისინი 204,35 ქულით VII ადგილზე გავიდნენ. პირად შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენებიდან შედარებით კარგად გამოვიდნენ ირინა ქემიუგინა და მარინა ხალილოვა.

დასასრულს უახლოვდება კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება. დღეს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები და გამოვლინდებიან გამარჯვებულნი. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალში ვერც ერთი მოჭიდავე ვერ მოხვდა. ის კი არა, ბრინჯაოს მედლის აღებაც ვერავინ შეძლო. ჩვენი ფალავნებიდან საუკეთესო იყო მძიმეწონოსანი დავით კორძაძე — IV ადგილი.

გუნდური ადგილები ჯერ კიდევ არ განაწილებულა, მაგრამ ერთის თქმა ახლაც შეიძლება: ჩვენმა ნორჩმა კლასიკოსებმა შესამჩნევად დათმეს პოზიციები.

საქართველოს კალათბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების პირველი და მეორე ტურის შედეგებზე უკვე ვიტყობინებოდით. ჭაბუკებმა მესამე შეხვედრა აზერბაიჯანის ნაკრებთან ჩაატარეს და გაიმარჯვეს 83:80. მეოთხე ტურში ჩვენი გუნდის მეტოქე იყო ლატვიის კოლექტივი. ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა — გამარჯვებული ფაქტიურად ინაღდებდა ფინალურ ექვსეულში გამოსვლის უფლებას. სამწუხაროდ, ჩვენმა კალათბურთელებმა ეს პრინციპული მატჩი ერთობ უხეიროდ ჩაატარეს და დამარცხდნენ — 65:90. ფინალში ვერც გოგონები გავიდნენ — მათ აზერბაიჯანის კოლექტივთან გამარჯვების შემდეგ ზედიზედ ორი მარცხი იწვნიეს — ჯერ რსფსრ-ს (50:89), შემდეგ კი მოსკოვის (73:96) გუნდებთან.

მოეწყო მოჭადრაკეთა გადადებული პარტიების დამთავრება. საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 6:2 დაამარცხა ყირგიზეთის გუნდი. წინასწარ შეხვედრებში 23 ქულა მოაგროვა და ახლა VII-XII ადგილისთვის იბრძვის.

VII-XII ადგილებისთვის მებრძოლ კოლექტივებს შორის არიან აგრეთვე, ჩვენი წყალბურთელები, ფრენბურთელები და ხელბურთელი გოგონები. მეხუთე ტურში წყალბურთელები დამარცხდნენ ყაზახეთის ნაკრებთან — 5:11, ხოლო მომდევნო შეხვედრაში სძლიეს ბელორუსიის გუნდს — 10:9. ფრენბურთელმა გოგონებმა დათმეს შეხვედრა მოლდაველებთან — 2:3. ჭაბუკებმა კი სძლიეს აზერბაიჯანის ნაკრებს — 3:1. ხელბურთელთა შეხვედრები ასე დამთავრდა: გოგონები. საქართველო — ლატვია — 20:20; საქართველო — ყაზახეთი — 20:20; ჭაბუკები. საქართველო — თურქმენეთი — 36:35.

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ფეხბურთელთა გუნდმა უკვე მოიპოვა ფინალურ ექვსეულში გამოსვლის უფლება. ჩვენმა სპორტსმენებმა ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა გაიმართეს თურქმენეთის ნაკრებთან (1:1). ახლა ფინალურ ტურნირში საქართველოს გუნდი პირველ მატჩს უკრაინელებთან ჩაატარებს.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა [...]წერილი გაუგზავნა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამსაჯო [...]ართველოს უფროსს ა. ერიომინს. [...]წერილში აღნიშნულია, რომ მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების 23 სექტემბერის მატჩის დროს მთელი რიგი შეცდომებით იმსაჯა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა, ლენინგრადელმა ა. ივანოვმა, რომელმაც არ ჩათვალა მოსკოველთა კარში გატანილი გოლი, არ დანიშნა 11-მეტრიანი მასპინძელთა კარში, უდიერად მოექცა „დინამოს“ კაპიტანს მ. მაჩაიძეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტი თხოვს ფეხბურთის სამსართველოს უფროსს ა. ერიომინს თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით მატჩებზე მსაჯად არ დანიშნოს ა. ივანოვი.

## ტრადიცია გრძელდება

შეჯიბრება დამთავრდა, მაყურებელი ფეხზე წამოიშალა. გამარჯვებული გუნდის ბიჭები თავიანთ კაპიტანს შემოეხვევიან და თვალებგაბრწყინებულები ათვალიერებენ დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის სახელობის თასს. იგი ზუსტი ასლია ქალაქის მთავარ მოედანზე აღმართული მერაბ ბერძენიშვილისეული ძეგლისა — დიდი მოურავი გასაფრენად გამზადებულ, ფაფარაშლილ ცხენზე ამხედრებულა და მარჯვენაში ხმლის ვადა ჩაუბღუჯავს...

კასპის რაიონი ერთ-ერთია ჩვენი რესპუბლიკის იმ რაიონებს შორის, რომელთაც დღემდე შემოუნახავთ სპორტის ეროვნული ტრადიციები. ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ერთიანი ძალით იღვწიან რაიონში სპორტის სხვადასხვა სახეობის დანერგვა-განვითარებისათვის, სპორტული ბაზების მშენებლობებისა და ეროვნული სპორტის აღორძინებისათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს სპორტკომიტეტმა კასპის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ მერებაშვილი რაიონში ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის საქმეში გაწეული წვლილისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

კასპის რაიონის კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტის ინიციატივით დაარსდა გიორგი სააკაძის თასი ქართულ ჭიდაობაში, რომლის მოსაპოვებლად მეორე წელია იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების ფალავანთა ნაკრები გუნდები. შარშან კასპელებმა არავის დაუთმეს ეს თასი და აი, გასულ შაბათს ქალაქის სტადიონზე კვლავ შეიკრიბნენ ქარელის, გორის რაიონის, ლენინგორის, გორის „წყალმშენის“, აგრეთვე, კასპის რაიონის სოფლების ხოვლეს კოლმეურნეობისა და თეძმის საბჭოთა მეურნეობის გუნდები, რომელთა ასპარეზობასაც უნდა გამოერკვია ამ საკმაოდ პოპულარული თასის წლევანდელი მფლობელის ვინაობა.

კასპის რაიონში ღრმად გაუდგამს ფესვი ქართულ ჭიდაობას. აქ ყოველწლიურად იმართება წარსულში ცნობილი ფალავნების ნიკოლოზ პაპიაშვილის, შოთა კაციაშვილის, ლადო გოგიბედაშვილის, შოთა მაზმიშვილის, აგრეთვე შინ-მოუსვლელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. ეგეც რომ არ იყოს შუაზაფხულიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე რაიონის მრავალი სოფლის საჭიდაოზე ზურნა-დოლის ხმა ყოველ კვირა-უქმე დღეს უამრავ მაყურებელს იზიდავს და გვიან საღამომდე გრძელდება ფალავანთა საინტერესო, დაძაბული ასპარეზობანი.

ქართული ჭიდაობის ტრადიცია აქ შორიდან მოდის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში, გიორგი სააკაძის მშობლიურ ნოსტეში ცხოვრობდა ბეჭდაუდებელი ფალავანი დავით ხიზამბარელი, რომლის საოცარი ფიზიკური ძალა, მოქნილობა და დიდი სპორტსმენისათვის დამახასიათებელი შესანიშნავი თვისებების ამბავი დღესაც ლეგენდად დადის საქართველოში. კასპის რაიონში აიდგეს ფეხი ცნობილმა მოჭიდავეებმა ნიკოლოზ (პოხრო) პაპიაშვილმა, შოთა მაზმიშვილმა, ლადო გოგიბედაშვილმა, შოთა და ლავრენტი კაციაშვილებმა, გიორგი ბასიაშვილმა, ამირან ვარდოშვილმა, შოთა გულიაშვილმა და მრავალმა სხვამ. აქაურები არიან ცნობილი მწვრთნელები ძმები ქრისტეფორე და კაკო ხინიაშვილები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სპორტისა და კერძოდ, ჭიდაობის განვითარების საქმეში.

კასპელებმა კარგად იციან ქართული ჭიდაობის ფასი და სწორედ ამიტომაც იყო, რომ სააკაძის თასზე გამართულ შეჯიბრებაზე უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ასპარეზობა, რომლის მთავარი მსაჯი საქართველოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შოთა გულიაშვილი იყო, გორის „წყალმშენისა“ და ლენინგორელ ფალავანთა შეხვედრით დაიწყო. ლენინგორელებმა შესანიშნავად იჭიდავეს, ოთხი შეხვედრა მოიგეს (აქედან ორი წმინდად), მხოლოდ ერთი წააგეს და... საბოლოოდ დამარცხდნენ, რადგან შეჯიბრებაზე არასრული გუნდით ჩამოსულიყვნენ და დანარჩენ 3 წონით კატეგორიაში წაგება ჩაეთვალათ... მეორე გუნდი, შეჯიბრებას რომ გამოეთიშა გორის რაიონის ნაკრები გახლდათ, გორელებმა გამანადგურებელი მა-

(დასასრული მე-4 გვ.).

* * *

სურათებზე: გიორგი სააკაძის სახელობის გარდამავალი თასი (ზემოთ); საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონის ნ. ნუგზარიშვილისა და საქართველოს ფალავნის, ახალგაზრდებს შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ო. ყურაშვილის შეხვედრის მომენტი.

დ. ხუცურაულის ფოტოები.



### კარგი სიახლენი

## დოსააფელთა ახალსახლობა

თერჯოლაში აშენდა და საექსპ-[...]ოატაციოდ გადაეცა დოსააფის [...]აიონული კომიტეტისა და სპორ-[...]ტექნიკური კლუბის ახალი, ორ-[...]სართულიანი შენობა, რომლის პი-[...]რველ სართულზე მოთავსებულია [...]50-მეტრიანი ტირი. აქვეა მძღოლ-[...]თა მოსამზადებელი თეორიის საკ-[...]ლასო ოთახები, რომლებიც აღ-[...]ჭურვილია სამოსწავლო აგრეგა-[...]ტებითა და კვანძებით.

ვ. კუტალაძე.

## რევოლუციის რაინდთა ხსოვნისა

ბაქო. აზერბაიჯანის დედაქალაქში ორი დღის განმავლობაში ენთო 26 ბაქოელი კომისრის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მძლეოსნური შეჯიბრების ჩირაღდანი. მემორიალის მეცხრე სტარტზე, რომელიც კომუნარების ტრაგიკულად დაღუპვის 60 წლისთავის დღეებში გაიმართა, საბჭოთა ათლეტებთან ერთად 8 ქვეყნის წარგზავნილებიც გამოვიდნენ.

ყველაზე მეტი ტაში დაიმსახურა მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა, მოსკოველმა ლ. ალფეევამ, რომელიც 665 სმ სიგრძეზე გადახტა.

შუბის ტყორცნის სექტორში იუნიორებისთვის ქვეყნის უმაღლესი მიღწევით (82,24 მ) ვაჟთა შორის გაიმარჯვა პერმელმა ა. ოსიპოვმა. ქალთა შორის პირველი იყო გამოცდილი რუმინელი შუბის მტყორცნელი ევა რადული ზარგო — 62,06 მ. ეს შედეგიც მემორიალის ახალი რეკორდია. ევა უცხოელ მონაწილეთაგან შეჯიბრების საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. საბჭოთა სპორტსმენებიდან, ეს წოდება დაიმსახურა ლ. ალფეევამ. სტუმართაგან თავი გამოიჩინა, აგრეთვე, სიმაღლეზე მხტომელმა ი. ვონდრამ (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც 220 სმ სიმაღლე გადალახა. (საკდესი).

## მეორე ლიგა

24 სექტემბერს გაიმართა II ლი-[...]გის ფეხბურთელთა გუნდების სა-[...]კავშირო გათამაშების მორიგი ტუ-[...]რის შეხვედრები:

„გასტელო“ (უფა) — ფიზკუ-[...]ლტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:1, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „დილა“ (გორი) 3:1, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 3:4, „დინამო“ (კიროვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:3, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 0:2.

# ყაზბეგის ფერისცვალება


ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგის მყუდროებას თითქოს დარაჯად უდგასო თეთრი, ქათქათა მყინვარწვერები. თვით შმაგი თერგიც როგორღაც მშვიდად ბუბუნებს, რომ „ხევის პატარძალს" მყუდროება არ დაურღვიოს. აქაურობას დროდადრო მწყემსების შეძახილი, ძაღლების შორეული ყეფა, ავტომობილების გუგუნი და ტურისტების მხიარულება თუ აცოცხლებს, თორემ...

ახლახან დიდი ფერისცვალება იყო ყაზბეგში. საღამოობით, დაბის ზურგს უკან აალებული კოცონები ციცინათელებივით მოჩანდნენ შორიდან. უფრო ახლოს სიმღერებსაც მოჰკრავდით ყურს. იმ სიბნელეში თუ უფრო კარგად დააკვირდებოდით იქაურობას, უამრავ კარავს დაითვლიდით. ერთ საღამოს კი სამების მხრიდან გრგვინვა გაისმა და არემარე ათასფრად გაანათა ცაში აჭრილმა მაშხალებმა.

არა, არავის არ ახსოვს ასეთი

## გვიხსენებს ემბლემური ემა-ბარი

**ტურისტული გვერდი № 5 (15)**

აზმაურებული, გამხიარულებული, მრავალსტუმრიანი ყაზბეგი. თვით უხუცესებსაც კი არ ახსოვთ ყაზბეგის ასეთი ფერისცვალება. ხუმრობა ხომ არაა, ერთბაშად ხუთასზე მეტი სტუმრის მიღება.

მაინც, რამ ააზმიანა ყაზბეგი, რამ ჩამოიყვანა ამდენი სტუმარი? ისინი სამთო ტურისტთა II საკავშირო შეკრება-შეჯიბრებამ იხმო სტარტზე და გამოცხადნენ კიდეც, რათა გველეთის შვეულ კლდეებზე, გერგეტის ციცაბო ყინულოვან ფერდობებზე და ბობოქარი თერგის გადალახვაში შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ყველაფერი ასპარეზობათა მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. გამარჯვებისთვის საჭირო იყო საუკეთესო ტურისტული სიმღერების შესრულება, „კარვების ქალაქის" კეთილმოწყობა, ტურიზმის პროპაგანდაში შეჯიბრება, კერძოდ სამოყვარულო ფილმების ჩვენება, ფერადი დიაპოზიტივების დემონსტრაცია...

ბუნებრივია, ამ საინტერესო ღონისძიებაში საქართველოს ტურისტებიც გამოდიოდნენ.

ალბათ, გახსოვთ, ჩვენი ქვეყნის ტურისტთა ამ დიდი ფორუმის სტარტის დღეს „ლელოს" ფურცლებზე ჩვენი კორესპონდენტის საუბარი გამოვაქვეყნეთ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძესთან. მაშინ თავმჯდომარემ თქვა, რომ პირველ საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში ჩვენი ტურისტები ერთობ უფერულად გამოვიდნენო და რწმენა გამოთქვა, ყაზბეგში წინ გადავდგამთ ნაბიჯსო.

ვარაუდი გამართლდა. ჩვენმა ტურისტებმა, რომლებიც „ა" ჯგუფში გამოდიოდნენ, 40 გუნდს შორის III ადგილი დაიკავეს. პირველი იყო სვერდლოვსკის, ხოლო მეორე — დონეცკის გუნდი.

აი, ისინი, ვინც გვასახელეს: ვაჟები — შ. ქოქოშვილი, ნ. ტარკაშვილი, ო. გაბარაევი, ა. ნინიკაშვილი, ვ. ძუნძიროვი და ერთიც ქალი — გ. რუხაძე. ისინი ძირითადი ჯგუფის წევრები იყვნენ. მათ გარდა გუნდში იყვნენ ნ. სატალკინა, ი. სახელაშვილი და ს. ჩობანიანი. აღსანიშნავია, რომ მეკლდეურთა შეჯიბრებაში გ. რუხაძე სათადარიგო გუნდის წევრმა ნ. სატალკინამ შეცვალა.

ჩვენი ტურისტების მწვრთნელები არიან ი. გელდიაშვილი და ვ. ხუციშვილი. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, ლ. უთარაშვილს.

საქართველოს ტურისტთა წარმატება მხოლოდ III ადგილით როდი ამოიწურა. ნ. ტარკაშვილმა ეროვნული სიმღერების საუკეთესო შესრულებისთვის ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს სიგელი მოიპოვა. საქართველოს ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის ერთ-ერთი პიონერის, ყაზბეგელი იაგორ კაზალიკაშვილის სახელობის პრიზი, რომელიც ყაზბეგის ფიზკულტურის და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა დააწესა და ყველაზე ტექნიკური მონაწილისთვის იყო გამიზნული შ. ქოქოშვილმა დაიმსახურა.

ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მიიღო პრიზი, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ტურიზმის ბიუროს მიერ იყო დაწესებული. იგი გადაეცა შეკრება-შეჯიბრების მთავარ მსაჯს, საქართველოში ტურიზმისა და ალპინიზმის ერთ-ერთ ვეტერანს, სპორტის ოსტატ კ. ასტახიშვილს. მან ეს პრიზი დაიმსახურა II საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში აქტიური მუშაობისთვის.

შეკრება-შეჯიბრებაში კიდევ ბევრი პრიზი იყო დაწესებული. მათ შორის „ლელოს" პრიზიც, რომელიც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საუკეთესო გუნდს უნდა რგებოდა. ჩვენი პრიზი ლიტვის ტურისტებს ხვდათ წილად.

აღსანიშნავია, რომ შეკრება-შეჯიბრების მონაწილე ირკუტსკის, კუიბიშევის, ყაბარდო-ბალყარეთის, სვერდლოვსკის, კრასნოდარისა და ბელორუსიის გუნდებმა გაისად „ა" ჯგუფში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

...ერთ კვირას გაგრძელდა ყაზბეგში II საკავშირო სამთო-ტურისტული შეკრება-შეჯიბრება, რომელიც გადაიქცა ამ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეთა ურთიერთდაახლოების და მეგობრობის დღესასწაულად.

მათ დიდხანს ემახსოვრებათ ყაზბეგში, კოცონთან გატარებული დღეები, მყინვარწვერზე მასობრივი ალპინიადა.

მწვერვალისკენ მიმავალ 70-მდე კაცს წინ მიუძღოდა ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი მთამსვლელი, სპორტის ოსტატი მ. ჰიჰინაძე.

შეკრება-შეჯიბრების დღეებში ტურისტებმა გვირგვინებით შეამკეს ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი და დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი. ტურისტების „შრომითმა დესანტმა" ქვა-ღორღისაგან გაასუფთავა ყაზბეგის ახლოს აშენებული ფერმის ტერიტორია.

იმედია, კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის დელეგაციებიც, რომლებიც ყაზბეგში გამართულ ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებას გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებოდნენ.

**ი. ნატროშვილი,**
**ა. რაჭველიშვილი.**

* * *

**სურათებზე:** კლდოვან მონაკვეთზე; მდინარის გადალახვაში შეჯიბრების მომენტი.

**ვ. მაჩაბლის ფოტოები.**

# ბეთანია, ბეთანია...

**ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთათვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია ბეთანია, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ნაწილისთვის. ყველა როდი იცნობს ბეთანიის სამონასტრო ნაგებობათა ნარჩენებსა და კარგად შემონახულ მთავარ ტაძარს, მის შემოგარენს... არადა, როგორც იტყვიან, ბეთანია ორიოდე ფეხის ნაბიჯზეა.**

**დღევანდელი წერილი ბეთანიას ეძღვნება, იქნებ ამან მაინც გაუღვივოს ინტერესი აქტიური დასვენების მოყვარულთ.**

**სამანქანო** გზის მთავარ მაგისტრალზე, მანგლის-კიკეთის გასაყართან (სამადლოსთან) შარაგზა მარჯვნივ, ტყეში ეშვება: ორი კილომეტრის გავლის შემდეგ ტყეში რამდენიმე ბილიკი მიდის, რომლებიც შემდეგ ღრმა ხეობასთან ერთდებიან. ქვევით მოჩანს ბეთანიის მონასტერი, ხეობის ძირში სამადლოს წყალი მიედინება, რომელიც 500 მეტრის დაშორებით მდინარე ვერეს ერთვის.

სასმელი წყალი სკოლა-ინტერნატამდე აღარ შეგხვდებათ. ბეთანიის სკოლა-ინტერნატიდან შეგიძლიათ მდინარე ვერეს აუყვეთ სამადლოს წყლის შენაკადამდე. 400-500 მეტრის გავლის შემდეგ იწყება მოკლე ბილიკი, რომელიც მონასტრამდე მიდის.

ლამაზია გზა კვესეთიდანაც. ამ სოფელში მანგლისის მხრიდან შეგიძლიათ მოხვდეთ. კვესეთში ამჟამად რამდენიმე მოსახლეა დარჩენილი. საურმე გზა ბეთანიის ტაძრამდე ეშვება. სოფელში კარგი სასმელი წყალია.

ბეთანიის ტაძარი აშენებულია თამარ მეფის ეპოქაში. ბეთანიის სამონასტრო ნაგებობანი, რომელსაც ოდესღაც გალავანი ერტყა, როგორც ჩანს, რამდენიმე შენობისაგან შედგებოდა. ამას ადასტურებს აქა-იქ შემორჩენილ ნაგებობათა საძირკვლები და მოჩუქურთმებული ქვები.

კარგადაა შემონახული მთავარი ტაძარი, რომელიც აგებულია XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში (1184-1213). ბეთანიის გეგმა და სტრუქტურა შუა საუკუნეების გუმბათოვანი ტაძრებისთვის ტიპიურია.

ტაძრის გარე კედლები და თორმეტსარკმლიანი გუმბათი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმებით. განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთის ფასადი: ორი ნიშითა და მოჩუქურთმებულ საპირეებში ჩასმული ფანჯრებით.

ბეთანიის ტაძარში შემონახულია თამარ მეფის პორტრეტი. საქართველოში თამარ მეფის სულ ოთხი ფრესკული გამოსახულებაა შემორჩენილი: ვარძიაში, ყინწვისში, ბერთუბანსა და ბეთანიაში.

ბეთანიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე თამართან ერთად გამოსახულია მამამისი, გიორგი III და თამარ მეფის შვილი, ჭაბუკი გიორგი ლაშა. სამხრეთის კედელზე ამშენებლის ფიგურაა გამოსახული ტაძრის მოდელით ხელში.

მთავარი ტაძრის ჩრდილო დასავლეთით პატარა ეკლესია მდებარეობს, რომელიც 1196 წლით თარიღდება. ეს ეკლესია თამარის აღმზრდელი მამიდის, რუსუდანის მიერ ყოფილა აგებული.

ბეთანიიდან გზა სოფელ ღვევისა და დიდგორის მთისკენ მიდის, სადაც 1121 წელს დავით აღმაშენებელმა დიდი ბრძოლა გადაიხადა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა საქართველოს ისტორიაში დიდგორის ომით არის ცნობილი.

ბეთანიის მიდამოებში ფოთლოვანი ტყე ხარობს, ეს ადგილები განსაკუთრებით ლამაზია ივნის-ივლისში, გარემო გვირილებით არის დაფარული, ყვავის გარეული ვარდი — ასკილი, ჟასმინი და სმენას ატკბობს ფრინველთა გალობა, ტყეში ბინადრობს კურდღელი, მელა...

ბეთანიაში ლაშქრობა სასურველია ღამისთევით.

**დ. გოზალიშვილი.**



# შემოდგომის ორი დღე

**ახლახან** თეთრი წყაროს ქართული სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოაწყო საინტერესო ტურისტული ლაშქრობა ფიტარეთისა და ხულუტის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად. ლაშქრობა, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს ეძღვნებოდა, ითვალისწინებდა მშდ კომპლექსის ჩაბარებასაც.

მოსწავლეები, მიუხედავად გრძელი და ძნელი ბილიკებისა, ხალისით იკაფავდნენ გზას.

ბავშვებმა საღამოხანს მიაღწიეს ფიტარეთის კულტურის ძეგლამდე. ინტერესით დაათვალიერეს ჩვენი უძველესი ისტორიული ძეგლი, ხოლო შემდეგ „ბინა" ციხის ეზოში დაიდეს, შორიახლოს კოცონი დაანთეს და იქვე ჩაუტარდათ ლექცია თემაზე — „ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა საქართველოში", რომელსაც კითხულობდა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ლონდარიძე. მშდ კომპლექსის შესახებ ისაუბრა ფიზკულტურის მასწავლებელმა თ. ზაქაიძემ.

განთიადისას მოლაშქრეთა ჯგუფი ხულუტის ციხისკენ გაემართა.

მოსწავლეებს დიდხანს ემახსოვრებათ აღრიანი შემოდგომის ის ორი დღე, რომლებმაც ბევრი სიამოვნება მიანიჭა მათ.

**მ. ნადირაძე,**
**თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.**

## ჭადრაკი

შაბათ-კვირას ბიჭვინთაში ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მეთორმეტე პარტია მიმდინარეობდა. როგორც ვიუწყებოდით, შაბათს იგი დაუმთავრებელი დარჩა. კვირას მეტოქეებმა განაახლეს თამაში და ექვსსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია კვლავ გადაიდო 90-ე სვლაზე. შეწყვეტილ პოზიციაში გაფრინდაშვილს ორი ზედმეტი პაიკი აქვს. გთავაზობთ ამ პოზიციას:

**თეთრები (გაფრინდაშვილი):** მფg2, ლf6, კc6, პპ. a2, b2, g4, h5.

**შავები (ჩიბურდანიძე):** მფd7, ლg5, კd2, პპ. b4, c5.

**90-ე სვლა ჩაიწერა ჩიბურდანიძემ. ამ პარტიის დამთავრება დღეს, 26 სექტემბერს უნდა მოეწყოს.**

ახლა თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პარტია. მეტოქეებმა სიცილიური დაცვის აქტუალური, ჩელიაბინსკის ვარიანტი გაითამაშეს. საინტერესოა, რომ მე-17 სვლამდე პარტია ვითარდებოდა, როგორც გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩის მესამე პარტია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ თეთრებით ჩიბურდანიძე თამაშობდა. ამჯერადაც ამ დებიუტიდან თეთრებმა უპირატესობა მიიღეს.

შემდეგ გაჩაღდა უაღრესად დაძაბული პოზიციური ბრძოლა. გაფრინდაშვილმა დაასუსტა მეტოქის მეფის ფრთა და მტკიცედ დაეუფლა ცენტრს. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

თამაშის განახლებისას მანევრულ ბრძოლაში გაფრინდაშვილმა ორი პაიკი მოიგო, მაგრამ პარტია სხვადასხვა ფერის კუთა დაბოლოებაში გადავიდა, სადაც ლაზიერებიც არიან. სწორედ ეს გარემოება აძლევს თეთრებს გამარჯვების იმედს, მაგრამ უპირატესობის რეალიზება დიდ ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს:

**ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძე**

**სიცილიური დაცვა**

**1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. მdb5 d6 7. კf4 e5 8. კg5 a6 9. მa3 b5 10. კ:f6 gf 11. მd5 f5 12. კd3 კe6 13. ლh5 კg7 14. 0-0 f4 15. c4 b4 16. მc2 ეb8 17. ეfd1 h6 18. კe2 0-0 19. c5 dc 20. მ:f4 კd7 21. მd5 a5 22. მce3 მd4 23. ეac1 ეc8 24. კc4 ეc6 25. მf5 კ:f5 26. ef ეd6 27. ლg4 h5 28. ლe4 ეe8 29. ეe1 ლg5 30. მe3 ეf6 31. h4 ლh6 32. კd3 ეc6 33. g3 a4 34. მფg2 ეcc8 35. მd5 მფf8 36. კc4 კh8 37. მe3 ლf6 38. კd5 კg7 39. კb7 ეb8 40. კd5 ეc8 41. ლd8 ეed8 (ჩაწერილი სვლა) 42. ლc4 მ:f5 43. მ:f5 ლ:f5 44. ეcd1 ლg4 45. ლc2 კf6 46. კf3 ლe6 47. ე:d8+ კ:d8 48. ლ:a4 კe7 49. ლc2 ეd8 50. ლh7 კf6 51. ლh6+ მფe7 52. ლe3 ეd4 53. b3 ლf5 54. ეc1 მფd6 55. ეc4 კg7 56. ლe2 ლd3 57. ე:d4 ლ:d4 58. ლa6+ მფe7 59. ლa7+ მფe6 60. ლa6+ ლd6 61. ლc4+ მფf6 62. კ:h5 ლe7 63. ლc1 მფe6 64. ლc4+ მფf6 65. ლe4 კh6 66. ლh7 კd2 67. ლh8+ მფe6 68. კg4+ მფd6 69. ლa8 კc3 70. კf3 ლc7 71. კe4 მფe7 72. h5 კd2 73. კd5 ლd7 74. კc4 f5 75. ლa6 ლd6 76. ლa7+ მფd8 77. ლf7 f4 78. g4 e4 79. ლg8+ მფd7 80. ლf7+ მფd8 81. ლg8+ მფd7 82. ლh7+ ლe7 83. ლf5+ მფc7 84. მფh3 f3 85. კd5 e3 86. fe ლ:e3 87. კ:f3 მფd6 88. ლf6+ მფd7 89. მფg2 ლg5 90. კc6+. პარტია გადაიდო.**

* * *

გუშინ გაიმართა მეცამეტე პარტია, რომელიც 42-ე სვლაზე გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 6:5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. ამ პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

●

### კვლავ დაზავდნენ

23 და 24 სექტემბერს ბაგიოში (ფილიპინები) ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXV პარტია გაიმართა. ორდღიანი ბრძოლა ბოლოს 81-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მატჩში კვლავ კარპოვი ლიდერობს ანგარიშით 4:2 (19 ყაიმი).

XXV პარტიაში მეტოქეებმა ინგლისური დასაწყისი გაითამაშეს. თავიდან კორჩნოიმ პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა მეთოდური მანევრირებით გაათანაბრა იგი. შემდეგ პრეტენდენტმა იერიში წამოიწყო, კომბინაციაც განახორციელა. პარტია მწვავე პოზიციაში გადაიდო.

თამაშის განახლებისას სიმწვავე დიდხანს არ დამცხრალა. კომბინაციური ბრძოლისა და ლაზიერების გაცვლის შემდეგ შექმნა ენდშპილი, რომელშიც ორივე მეტოქემ გამსვლელი პაიკები მიიღო. კარპოვმა შეუპოვარი დაცვით მუქარა მოიგერია და თამაში ეტლების თეორიულ საყაიმო ენდშპილში დასრულდა.

აი, ეს პარტიაც:

**კორჩნოი — კარპოვი**

**ინგლისური დასაწყისი**

1. c4 მf6 2. მc3 e5 3. g3 კb4 4. ლb3 მc6 5. მd5 კc5 6. e3 0—0 7. კg2 მ:d5 8. cd მe7 9. მe2 d6 10. 0—0 c6 11. d4 ed 12. ed კb6 13. კg5 კd7 14. a4 h6 15. კ:e7 ლ:e7 16. კf3 ეab8 17. a5 კc7 18. ლc3 ეfc8 19. მf4 კd8 20. ეfe1 ლf8 21. ლb3 კg5 22. მe2 კf6 23. ეad1 c5 24. კe4 ლd8 25. ლa2 კg4 26. dc ე:c5 27. b4 ეc7 28. ლb3 ეbc8 29. f3 კd7 30. ლe3 a6 31. კd3 კb2 32. მფg2 ლf6 33. ეb1 კa4 34. მf4 g6 35. ეe2 კc1 36. ლe4 მფf8 37. b5 ab 38. ლb4 ეc5 39. ე:c1 ე:c1 40. მ:g6+ მფg7 41. მe7 ე1c4 42. კ:c4 (ჩაწერილი სვლა) ე:c4 43. ლ:d6 ეc3 44. f4 ლ:d6 45. მf5+ მფg6 46. მ:d6 კb3 47. f5+ მფg7 48. მe8+ მფf8 49. მf6 მფg7 50. მh5+ მფf8 51. მf4 კc4 52. ეe5 ეa3 53. d6 ეa2+ 54. მფf3 ეd2 55. ეe7 ე:d6 56. ე:b7 ეa6 57. ეb6 ე:a5 58. ე:h6 b4 59. ეc6 კb5 60. ეc1 b3 61. ეb1 კc4 62. მფe4 ეa2 63. მფd4 ეc2 64. მd3 კ:d3 65. მფ:d3 ე:h2 66. ე:b3 მფg7 67. მფe4 ეa2 68. მფf4 ეa4+ 69. მფg5 ეa5 70. g4 ეc5 71. მფh5 ეa5 72. ეf3 ეb5 73. g5 ეb1 74. f6+ მფh7 75. ეh3 ეg1 76. ეh2 ეg3 77. ეh1 ეg2 78. ეa1 ეh2+ 79. მფg4 მფg6 80. ეa8 ეg2+. ყაიმი.

XXVI პარტია დღეს, 26 სექტემბერს უნდა გაიმართოს.

## უმაღლესი ლიგა

**23 და 24** სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები:

„ქაირათი" — „ტორპედო" 2:2

„არარატი" — „დნეპრი" 1:0

„შახტიორი" — „ნეფთჩი" 3:1

„ზარია" — ცსკა 1:0

„ლოკომოტივი" — „დინამო" მ. 0:1

„ფახთაქორი" — „ზენიტი" 3:0.

„დინამო" კ. — „ჩერნომორეცი" 0:0.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 26 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 24 | 14 | 6 | 4 | 34—19 | 34 |
| „შახტიორი" | 24 | 14 | 4 | 6 | 34—22 | 32 |
| „ჩერნომ." | 24 | 11 | 8 | 5 | 34—19 | 30 |
| „დინამო" მ. | 24 | 11 | 7 | 6 | 29—20 | 29 |
| „დინამო" კ. | 24 | 10 | 8 | 6 | 29—18 | 28 |
| „ტორპედო" | 24 | 10 | 8 | 6 | 27—20 | 28 |
| „სპარტაკი" | 24 | 11 | 4 | 9 | 33—27 | 26 |
| ცსკა | 24 | 10 | 4 | 10 | 27—32 | 24 |
| „ზენიტი" | 24 | 8 | 7 | 9 | 27—34 | 23 |
| „ფახთაქ." | 24 | 8 | 6 | 10 | 36—35 | 22 |
| „ზარია" | 24 | 7 | 7 | 10 | 31—35 | 21 |
| „ქაირათი" | 24 | 7 | 7 | 10 | 24—31 | 21 |
| „ნეფთჩი" | 24 | 6 | 6 | 12 | 20—29 | 18 |
| „არარატი" | 24 | 7 | 3 | 14 | 15—32 | 17 |
| „ლოკომოტ." | 24 | 4 | 8 | 12 | 19—34 | 16 |
| „დნეპრი" | 24 | 6 | 3 | 15 | 19—31 | 15 |

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

გთავაზობთ თბილისის „დინამოს" [illegible] მატჩის [illegible] მონაცემებს.

მოსკოვი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 23 სექტემბერი.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (1:0).

**„სპარტაკი":** დასაევი, ბუკიევსკი, სამოხინი, ხიდიატულინი, რომანცევი, შავლო, თარცევი, კოკორევი, გავრილოვი, გლადილინი (ბულგაკოვი), სიდოროვი.

**„დინამო":** გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი (სულაქველიძე), გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩელებაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

გოლები: სიდოროვი (მე-15 წუთი), გავრილოვი (57), შენგელია (60).

დუბლიორები — 2:0.

### ცვლილებანი კალენდარში

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებს 27 სექტემბერს ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩები აქვთ ჩასატარებელი, მათი შეხვედრები სსრ კავშირის ჩემპიონატის 25-ე ტურში გადატანილია. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი), „ტორპედო" (მოსკოვი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 30 სექტემბრის ნაცვლად ითამაშებენ 1 ოქტომბერს.

## ფრენბურთი

**იტალიაში** მიმდინარე ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრების მესამე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: ბრაზილია — საფრანგეთი 3:1, პოლონეთი — მექსიკა 3:0, ვენესუელა — ფინეთი 3:2, იაპონია — არგენტინა 3:0, კუბა — უნგრეთი 3:0, ჰოლანდია — კანადა 3:2, ბულგარეთი — გდრ 3:0, ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 3:2, სამხრეთ კორეა — აშშ 3:0, ბელგია — ეგვიპტე 3:2, იტალია — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 3:1.

გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც „ა" და „ბ" ნახევარფინალურ ჯგუფებში ითამაშებენ ფინალური ტურნირის საგზურებისთვის.

ნახევარფინალის „ა" ჯგუფში ურთიერთობის გასარკვევად იბრძოლებენ სსრ კავშირის, ბრაზილიის, ბულგარეთის, იტალიის (მათ 2-2 ქულა აქვთ), გდრ-ისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კოლექტივები, ხოლო „ბ" ნახევარფინალურ ჯგუფში — პოლონეთის, კუბის, სამხრეთ კორეის (2-2 ქულით), ჩეხოსლოვაკიის, იაპონიისა და მექსიკის გუნდები. ნახევარფინალური ტურნირები ხვალ მთავრდება.

კვირას საბჭოთა ნაკრებმა პირველი ნახევარფინალური შეხვედრა მოუგო გდრ-ის სპორტსმენებს — 3:0.

## წყალბურთი

**სსრ** კავშირის თასის მფლობელს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის წყალბურთელებს განზრახული აქვთ კვლავაც შეინარჩუნონ ეს საპატიო ჯილდო — ოთხი უძლიერესი კოლექტივის სათასო დასკვნითი ტურნირის პირველ დღეს, რომელიც შაბათს მოსკოვში გაიმართა, მათ დაამარცხეს ხარკოვის „ლოკომოტივი" — 6:4.

თანაკლუბელების — კიევისა და ალმა-ათის დინამოელთა მატჩი კიეველებმა მოიგეს — 6:3.

მეორე ტურში მეზღვაურები კიევის დინამოელებს ეთამაშებოდნენ და გაიმარჯვეს — 4:3.

ალმა-ათის „დინამოსა" და ხარკოვის „ლოკომოტივის" მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 6:6.

## კალათბურთი

**კრაკოვში** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი — „ვისლის ცისფერი ბაფთა", რომელშიც მოსკოვის „დინამო" და კიევის „სტროიტელიც" მონაწილეობენ. ამ ტრადიციული ასპარეზობის პირველ ტურში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. დინამოელები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ — 102:101 (56:62).

## მძლეოსნობა

**ამას წინათ** თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ს. პეტროვამ (ბელორუსია) შინ დაბრუნებისთანავე ბრესტში ძალები სცადა ამ ქალაქის, პინსკის, ბარანოვიჩისა და ლიუბლინის (პოლონეთი) გუნდების სამატჩო შეხვედრაში. მისმა ბადრომ 67,54 მეტრზე „იფრინა", რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში.



# თასი პატარა ავთანდილის ხელით...

**კვირას,** ვეტერანთა ტურნირის უკანასკნელ დღეს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საასპარეზოდ პირველად კიეველი და ერევნელი ფეხბურთელები გამოვიდნენ. პირველი ტაიმი უკრაინელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0 (ბურთი ევსეენკომ გაიტანა), შესვენების შემდეგ კი მეტოქეებმა თითოჯერ მიაღწიეს წარმატებას (კიეველმა ვასილიევმა და ერევნელმა იშტოიანმა). 2:1 — გაიმარჯვეს უკრაინელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც 5 ქულა მოაგროვეს.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო თბილისისა და მოსკოვის გუნდების მატჩის შედეგზე. გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები ეწეოდნენ კიეველებს.

პირველი ნახევრის 37-ე წუთზე მსაჯმა გ. ბაქანიძემ თბილისელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ესკოვმა. შესვენების შემდეგ მოსკოველმა ლოვჩევმა ურუშაძის კარში მეორე ბურთი გაიტანა და ბევრს პრიზის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, ვინაიდან თბილისელებს მხოლოდ 3 ქულა ჰქონდათ, მაგრამ ქართველ ვეტერანთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში. ჯერ ლ. ნოდიამ გაიტანა ბურთი, შემდეგ პეტრიაშვილმა პენალტით გაქვითა ანგარიში, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გუნდის კაპიტანმა ხურცილავამ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 3:2.

ამრიგად, კიევისა და თბილისის გუნდებმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა მოაგროვეს და დავა მათ შორის 11-მეტრიანების სერიას მიენდო.

## ფეხბურთი

პირველი დარტყმა კიეველთა მეკარემ რუდაკოვმა შეასრულა, მაგრამ ურუშაძემ აიღო ბურთი. ამის შემდეგ ებრალიძემ, ასატიანმა, ნოდიამ და პეტრიაშვილმა უნაკლოდ შეასრულეს დარტყმები, კიეველმა ბოგდანოვმა კი ევსეენკოსა და ვასილიევისაგან განსხვავებით ბურთი ააცილა მიზანს, გამარჯვება თბილისელებს დარჩათ.

აი, ვინ თამაშობდა ამ დღეს ჩვენს გუნდში: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ხუნდაძე (ჭანჭალეიშვილი), მჭედლიშვილი (ასატიანი), დითუნაშვილი, გორდანია, ლ. ნოდია.

დასავლეთი ტრიბუნის წინ გამწკრივდა თბილისელ ვეტერანთა გუნდი, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ღოღობერიძის თასი გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში ბ. პაიჭაძემ და... ავთანდილ ღოღობერიძემ გადასცეს: ვეტერანს ხელში აყვანილი ჰყავდა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის შვილიშვილი — 2 წლის ავთანდილი.

* * *

**სურათებზე:** ტურნირში გამარჯვებული თბილისელი ვეტერანები; თბილისელთა კაპიტანი მ. ხურცილავა ა. ღოღობერიძის პრიზით.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.









# ტრადიცია გრძელდება

დასასრული

რცხი (0:8) განიცადეს ხოვლეს კოლმეურნეობის გუნდთან და მაყურებელთა სკამებზე გადაინაცვლეს. მათ შემდეგ ერთმანეთის პირისპირ თემქის საბჭოთა მეურნეობისა და გორის „წყალმშენის" ფალავნები წარსდგნენ. გორელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, სამი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ: 5:3 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ასპარეზობას სამი გუნდიღა შემორჩა — კასპელთა ორი და ქარელის რაიონის ნაკრები. როგორც წესი, ქარელელები მუდამ ღირსეულ მეტოქეობას უწევენ კასპელ ფალავნებს. უკანასკნელ წლებში სპორტსმენთა შორის მეტად თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც ორივე რაიონის კომკავშირელთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ ასპარეზობაზე ქარელელთა გუნდს რამდენიმე კარგი მოჭიდავე აკლდა, რის გამოც მათ დათმეს (2:6) შეხვედრა ხოვლეს კოლმეურნეობის ნაკრებთან და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

და აი, ფინალური ასპარეზობა ჯერაც არ დაწყებულა, მაგრამ თასის ბედი უკვე გადაწყვეტილია — იგი კვლავ კასპში დარჩება. მთავარი მსაჯი მონაწილეთა გვარებს აცხადებს. აი ისინი, თემქის საბჭოთა მეურნეობის მოჭიდავეთა ნაკრები: დიმიტრი დემეტრაშვილი, შოთა კაციაშვილი, უშანგი მჭედლიშვილი, ალექსანდრე იაძე, ნუგზარ მამულაშვილი, ოლეგ იაძე, ყარამან დავითაშვილი, ნოდარ ნუგზარიშვილი. ხოვლელები — თამაზ ჯალალი, ვეფხია ლომიტაშვილი, ზაურ ბახტაძე, დურმიშხან გამდლიშვილი, ანზორ ქსოვრელი, იაგო დემეტრაშვილი, ზურაბ ზახტაძე, ოთარ ყურაშვილი.

შუამავალი მსაჯის, ამირან ვარდოშვილის სასტვენის ხმაზე ჭიდაობა იწყება...

ფინალური შეხვედრა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა მაყურებელი ქართული ჭიდაობის მიმზიდველობაში, კიდევ ერთხელ მოხიბლა იმ შესანიშნავი ფანდებით, ჩვენდასასიხარულოდ დავიწყებას რომ გადარჩენია, მართლაც ერთ რამედ ღირდა.

შესაშური ტექნიკა გამოავლინეს ახალგაზრდა ფალავნებმა თამაზ ჯალალმა, შოთა კაციაშვილმა, ოლეგ იაძემ, ზურაბ ბახტაძემ და სხვებმა. ამ უკანასკნელმა ზუსტად 7 წამში დაამთავრა შეხვედრა შეჯიბრების ყველაზე ხნიერ მონაწილე, 43 წლის ყარამან დავითაშვილთან.

როდესაც მძიმე წონის მოჭიდავეები, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი ნოდარ ნუგზარიშვილი და საქართველოს ფალავანი, ჩვენი ქვეყნის სოფლის სპორტსმენთა წლევანდელი ჩემპიონი ხოვლელი ოთარ ყურაშვილი ხალიჩაზე გავიდნენ, ანგარიში 4:3 იყო თემქის საბჭოთა მეურნეობის გუნდის სასარგებლოდ. ყურაშვილს ეს შეხვედრა რომ მოეგო, თასი ხოვლელებს დარჩებოდათ, რადგან მათ აქტივში ერთი წმინდა გამარჯვებით მეტი ეწერათ, მაგრამ გამოცდილმა ნუგზარიშვილმა ბრძოლა ტაქტიკურად სწორად წარმართა, მეტოქეს ერთი მომგებიანი ქულაც კი არ დაუთმო და შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

...დიდი მოურავის, გიორგი საააკიძის სახელობის თასი თემქის საბჭოთა მეურნეობის გუნდის კაპიტანს, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის ნუგზარ მამულაშვილს უჭირავს. სამახსოვრო პრიზები გადაეცათ ასპარეზობაში მონაწილე სხვა გუნდებსაც. შეჯიბრება დამთავრდა. მაყურებელი წამოიშალა და რადიოში გაისმა კასპის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ავთანდილ ჯალალის ხმა:

— მომავალ შაბათს, 30 სექტემბერს, სოფელ ყარალაჯში გაიმართება ამ სოფლის მკვიდრის, წარსულში ცნობილი ფალავნის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის შოთა მაზმიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში!..

შეჯიბრება დამთავრდა, ტრადიცია გრძელდება.

ნ. შატაიძე.

• • •

**სურათებზე:** (მარცხნიდან) ჭიდაობის მომენტი; მაყურებელი; თემქის საბჭოთა მეურნეობის გუნდის კაპიტანს ნ. მამულაშვილს საააკიძის სახელობის თასს გადასცემს შეჯიბრების მთავარი მსაჯი შ. გულიაშვილი.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

## ხელბურთი

# გადამწყვეტი ტურის წინ

მიმდინარეობდა თბილისის „ბურევესტნიკისა" და ლვოვის ასკ-ის შეხვედრის ბოლო წუთები. ანგარიში იყო ფრე — 26:26. ბურთს უკრაინელი ხელბურთელები დაეუფლნენ — გოლჩინსკიმ ლამაზ ნახტომში გაიტანა გოლი და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 27:26.

კვირა დღის ამ შეხვედრაში ანგარიში გ. ნარიმანიძემ გახსნა, რასაც ლვოველებმა სამი გოლით უპასუხეს. შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და მე-16 წუთისთვის წინ იყვნენ 10:6. ამის შემდეგ „ბურევესტნიკმა" მოადუნა თამაში: გადაცემებმა დაკარგეს სიზუსტე, დაცვაში შეცდომები გახშირდა, ვერც თავდასხმაში გამოიჩინეს თავი მასპინძლებმა. უკრაინელებმა ისარგებლეს ამით და შეძლეს ტაიმის მოგება მინიმალური ანგარიშით 14:13.

საინტერესო გამოდგა თამაშის მეორე ნახევარი. თბილისელებმა სწრაფად გაათანაბრეს ანგარიში და შემდეგ წინ იყვნენ ხან ერთი, ხან ორი ბურთით. არმიელებიც სახიფათოდ უტევდნენ თბილისელთა კარს, განსაკუთრებით ალიფანოვი (მან ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი, 10 ბურთი გაიტანა) და გოლჩინსკი. მე-15 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 20:20. შემდგომში ანგარიში კიდევ ხუთჯერ იყო თანაბარი, მაგრამ ლვოველებმა მაინც შეძლეს ძნელი მატჩის მოგება.

„ბურევესტნიკი" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბარამიძე, კომახიძე, გ. ბერიაშვილი (4 გოლი), ამპილოგოვი (6), ი. ნარიმანიძე, გ. ნარიმანიძე (7), ტაბიძე (3), დოლიძე, ნავროზაშვილი (4). ერთი ბურთი არმიელებმა საკუთარ კარში გაიტანეს.

ამ დღეს კიდევ ორი მატჩი გაიმართა. მინსკისა და ბაქოს არმიელთა შეხვედრაში თავიდანვე დაწინაურდნენ ბაქოელები, მაგრამ შემდეგ სწრაფმა და ტექნიკურმა ბელორუსმა სპორტსმენებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 32:15.

კიეველ არმიელთა რიგებში „ცელტნიეკსის" წინააღმდეგ არ თამაშობდა მათი კაპიტანი ბურცევი, რომელიც წინა დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" შეხვედრის დროს არასპორტული საქციელისთვის თავისავე გუნდის მიერ დისკვალიფიცირებული იყო. ეს შეხვედრა ძალზე უხეშად წარიმართა: დაშავდა ორი რიგელი და ორი კიეველი, რომლებმაც ველარ შეძლეს თამაშის გაგრძელება. მატჩის მსაჯებმა დანიშნეს... 9 შვიდმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. კიეველებმა სამივე გამოიყენეს, რიგელებმა კი ექვსიდან — მხოლოდ ერთი. უკრაინელთა მეკარემ კოჩერგინმა ხუთჯერ გაიმარჯვა თავდამსხმელებთან ორთაბრძოლაში. ამან საგრძნობლად განაპირობა კიეველთა გამარჯვება — 18:14 (11:7).

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა XVII საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის უკანასკნელი შეხვედრები. აი, როგორ დამთავრდა ისინი: ასკ (მინსკი) — ასკ (კიევი) — 21:29 (10:13), „ცელტნიეკსი" (რიგა) — ასკ (ლვოვი) — 28:24 (17:11), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (ბაქო) — 35:24 (16:9).

გათამაშების ცხრილი თბილისის ტურის შემდეგ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 27 | 12 | 1 | 14 | 600—605 | 25 |
| ასკ (ლვოვი) | 27 | 10 | 1 | 16 | 647—669 | 21 |
| ასკ (მინსკი) | 27 | 9 | 2 | 16 | 629—688 | 20 |
| „ბურევ." | 27 | 9 | 2 | 16 | 568—651 | 20 |
| „ცელტნ." | 27 | 7 | 3 | 17 | 598—646 | 17 |
| ასკ (ბაქო) | 27 | 3 | 1 | 23 | 593—806 | 7 |

ჩემპიონატის დასკვნითი, მეოთხე ეტაპი ამ გუნდებს შორის გაიმართება ოქტომბერ-ნოემბერში ლიტვის ქალაქ შაულიაიში.

შ. შალოლაშვილი.

• • •



**სურათზე:** თბილისისა და ბაქოს გუნდების შეხვედრის მომენტი. შეტევაზეა თბილისელი ზ. დოლიძე.

ე. ხუცურაულის ფოტო.

## მძლეოსნობა

**საფრანგეთის** ქალაქ ტალანსის სტადიონზე გაიმართა მრავალჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 7 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ხუთჭიდში პირველობის მთავარი პრეტენდენტები აღმოჩნდნენ საბჭოთა სპორტსმენები ე. სმირნოვა და ე. გორდიენკო. გორდიენკომ 4572 ქულა მოაგროვა, ხოლო სმირნოვამ — 4550.

ათჭიდშიც საბჭოთა ნაკრების წევრმა იმარჯვა. ი. კუცენკოს შედეგია 8041 ქულა. ინგლისელი მ. პილი მეორე ადგილზე გავიდა — 8004, ხოლო ვ. კაჩანოვმა (სსრ კავშირი) 7993 ქულა მოაგროვა.

# „ვარსკვლავებზე" ნადირობის წინააღმდეგ

**ნაირობი,** 23 სექტემბერი. კენიის მძლეოსნობის ასოციაციამ იმსჯელა ამ ქვეყნის 5 სპორტსმენის საქციელზე. საქმე იმაშია, რომ ისინი სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ამ ასოციაციის თანხმობის გარეშე გამოდიოდნენ.

კენიის მძლეოსნობის ასოციაციის მდივანი ი. კიპლინგატი მკაცრად აკრიტიკებს იმ ტურნირების ორგანიზატორებს, რომლებიც ანგარების მიზნით აწყობენ შეჯიბრებებს და მათში მონაწილეობისთვის (შემდეგ გადაბირებისთვის) იწვევენ ნიჭიერ ათლეტებს.

მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის წესებში განსაზღვრულია, — აღნიშნავს კიპლინგატი, — რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში სპორტსმენები მონაწილეობენ მხოლოდ ეროვნული ფედერაციების ნებართვით. ამერიკელი მწვრთნელები კი, რომლებიც ცდილობენ თავიანთი გუნდები რაც შეიძლება პერსპექტიული ათლეტებით შეავსონ, მათ „დაჭერას" ცდილობენ სწორედ ამგვარ ტურნირებში. ამერიკელებმა, რა თქმა უნდა, იააფ-ის წესები შესანიშნავად იციან, მაგრამ მაინც სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ჩვენი ნებართვის გარეშე იწვევენ კენიელ მძლეოსნებს და შემდეგ მათ აშშ-ს უმაღლეს სასწავლებლებში ან პროფესიონალთა რიგებში იბირებენ. თვით სპორტსმენებისა და კენიაში სპორტის ინტერესებისთვის ჩვენ ვალდებულნი ვართ შევზღუდოთ კენიელი ათლეტების ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობა, რომ უფრო საპასუხისმგებლო ასპარეზობებისთვის შევინახოთ ძალები.

ზემოთ დასახელებულ „ხუთეულში" მოხვდნენ ისეთი ცნობილი მორბენლები, როგორებიც არიან მ. ბოიტი, მ. მუსიოკი და ფ. კიმაიო.

(საკდესი).

# „სპორტლოტო"

გასულ შაბათს გამართული „სპორტლოტოს" 38-ე ტირაჟების შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო" 6-49-დან:

**პირველი:** 6 (კალათბურთი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 13 (საწყლოსნო თხილამურები), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 40 (ტურიზმი), 48 (ჭადრაკი), შელავათიანი ბურთულა — 46 (ჰოკეი).

**მეორე:** 4 (ალპინიზმი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 35 (სპიდვეი), 40 (ტურიზმი), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი), შელავათიანი ბურთულა — 31 (ცურვა).

„სპორტლოტო" 5-36-დან:

**პირველი:** 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 20 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 34 (ფეხბურთი), 36 (ჰოკეი).

**მეორე:** 3 (ბობსლეი), 10 (ფრენბურთი), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 21 (აფროსნობა), 23 (წყალში ხტომა).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 02223